88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №16 (7045) 17 აგვისტო 2021 წელი • www. Terjola. gov. ge

საარჩევნო მარათონი ძალას იკრებს...

როგორც რეალობა გვკარნახობს, მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერი მეტად მძიმე და ცხელი დღეებით დაგვამახსოვრებს თავს. რეალობის სარკე იმასაც გვიჩვენებს, რომ ამ დღეების სიმძიმე და ტემპერატურის კლებამატება, ყველაზე უფრო, კორონავირუსული პანდემიის პარალელურად მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაზე იქნება დამოკიდებული.

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში, დღეის მდგომარეობით, ორივე ამ მიმართულებით არსებულ ვითარებაზე მოგითხრობთ—ერთზე ამ პუბლიკაციაში, ხოლო მეორეზე წერილში „კორონავირუსი გვიტევს! გავუფრთხილდეთ ერთმანეთს—მკაცრად დავიცვათ რეგულაციები, ჩავიტაროთ ვაქცინაცია!“ (გვ.3).

რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი დაწყების სასტარტო სვლა მმართველმა პარტიამ—„ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა, რომელმაც არჩევნებამდე ორი თვით ადრე დაასახელა მერობის კანდიდატები, როგორც დედაქალაქის, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად დასახელდა მუნიციპალიტეტის მოქმედი მერი **ლაშა გოგიაშვილი,** რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ სულ რაღაც ათი თვის წინ აირჩია მუნიციპალიტეტის მერად. მუნიციპალიტეტის მერი ასე გამოეხმაურა მერად მისი კანდიდატურის კვლავ დასახელებას:

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ „ქართული ოცნების“ გუნდმა გამომიცხადა ნდობა და მომცა შანსი, ჩემს თერჯოლას და თერჯოლელებს მერის რანგში კვლავ ვემსახურო.

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს მხარდაჭერისთვის, თქვენი ნდობა ასმაგად აძლიერებს ჩემს პასუხისმგებლობას.

მჯერა, რომ მმართველი გუნდი კიდევ ერთ, დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს და ჩვენი ქვეყნის განვითარებას ერთად გავაგრძელებთ.

ერთად თერჯოლის წარმატებისთვის!

ერთად საქართველოს წარმატებისთვის!“

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, შეიძლება ითქვას მათ ერთგვარად მოუგვიანდათ. რა თქმა უნდა, ეს ოპოზიციურ ფლანგზე იმ გაჭიანურებული შეუთანხმებლობის ბრალია, რომელიც ფართო ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნას ითვალისწინებდა.

მართალია, ოპოზიციურმა ერთმა ფრთამ თბილისის მერობის, საკრებულოს თავმჯდომარეობის და მერის მოადგილის კარდიდატურები „ქართული ოცნების“ შემდეგ მალე დაასახელა, მაგრამ მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მერობის კანდიდატები საქართველოს რეგიონებში სულ ახლახანს, 15 აგვისტოს დაასახელა და ისიც არა ყველგან, როგორც ჩანს დარჩენილ რეგიონებში, კანდიდატებს სხვა ოპოზიციური პარტიები დაასახელებენ და შევიტყობთ თუ ვინ იქნება მათი მერობის კანდიდატი დარჩენილ რაიონებში.

სავარაუდოდ, მთავარი საარჩევნო მოვლენები სექტემბრის თვეში განვითარდება.

„თერჯოლა“ თავის მხრივ ყოველმხრივ ეცდება, რომ ზუსტად დაიცვას ის ვალდებულებები, რასაც მას, როგორც ბეჭდვით მედიას საქართველოს კანონმდებლობა აკისრებს საარჩევნო პერიოდში. ეს კი უპირველესად გაზეთში უფასო და ფასიანი რეკლამის განთავსებაა.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის რედაქციის მიერ საარჩევნო პერიოდში—2021 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით გამოყოფილი საერთო ფართი შეადგენს 2 საგაზეთო გვერდს (სულ 1920სმ²). აქედან ნახევარი ანუ ერთი გვერდი (A3 ფორმატი 960სმ²) ფასიანია. სარეკლამო გვერდებია გვ.4 (ფასიანი) და გვ. 5 (უფასო). თითოეული სუბიექტისათვის ორივე გვერდზე გამოყოფილია A5 ფორმატის ფართი (240 სმ², ფასიანი—120 ლარი). ხოლო გაზეთის ჩანართის მომზადების შემთხვევაში ფასები შეთანხმებითაა.

გისურვებთ წარმატებებს!

„თერჯოლა“

P.S. „თერჯოლას“ ეს ნომერი უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როცა გავრცელდა ინფორმაცია „ევროპული საქართველოს“ მიერ რეგიონებში მერობის კანდიდატების დასახელების თაობაზე. ამ ოპოზიციურმა პარტიამ სულ მერობის 12 კანდიდატი დაასახელა. აქედან ერთ-ერთი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი ბეჭან (ზურაბ) ბუცხრიკიძეა, რომელიც პარტიისვე განმარტებით, ოპოზიციასთან შეთანხმებული დამოუკიდებელი კანდიდატია.

„ძლევაი საკვირველი“

900 წლის წინ, 1121 წლის 12 აგვისტოს, მეფე დავით აღმაშენებლის სარდლობით თბილისთან ახლოს, დიდგორზე, ქართველებმა თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. საქართველოს ისტორიაში ეს ომი „ბრძოლაი საკვირველის“ სახელით შევიდა.

მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს, საქართველოს მეფემ დავით IV აღმაშენებელმა, თურქთაგან სრულიად დაქცეული, მორჭმული ქვეყნის ასაღორძინებლად შემოიკრიბა გულმხურვალე მამულიშვილები, შეადგინა საკუთარი ლაშქარი (მონა-სპა) და დაიწყო ბრძოლა თურქთა გასადევნად. 1099 წელს თურქთა სულთანს ხარკი შეუწყვიტა, 1104 წელს ერწურხთან ბრძოლაში გაანადგურა თურქები. 1110 წელს აიღო სამშვილდე და ძერნა, იმავე წელს თრიალეთში მოსპო თურქთა უზარმაზარი მხედრობა. 1115 წელს თურქებს წაართვა რუსთავი, ერთი წლის შემდეგ თურქები გაანადგურა ტაოში, შემდეგ აიღო ლორე და აგასანი. 1118-1119 წლებში გაატარა სამხედრო რეფორმა, 1118 წელს დაიმორჩილა ოვსეთი, 1120 წელს გაანადგურა თურქები მორტიასთან, აიღო ყაბალა, ლიჟათი, ქურდევანი, შირვანში.

დავითისაგან შევიწროებულმა თურქ-სელჩუკებმა დახმარებისათვის მაჰმადიან მბრძანებლებს მიმართეს.

☞4

გვახსოვდეს აფხაზეთი!
გვახსოვდეს სამაჩაბლო!
გვახსოვდეს ჩვენი გმირები!

☞5

ტოკიოს ოლიმპიადის ექო

☞8

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

მშენებლები პასუხისმგებლობით მუშაობენ...

ჩვენ უკვე რამდენჯერმე გავაჟღერეთ ის ფაქტი, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, სოფელ რუფოთის №1 და ქვედა სიმონეთის №2 საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

უნდა ითქვას, რომ სამუშაოების ტემპი საკმაოდ მაღალია, რაც პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ეს ობიექტები მუდმივადაა მუნიციპალიტეტის მერიის მეთვალყურეობის ქვეშ.

ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სკოლის შენობები კეთილმოწყობილი და ადაპტირებული იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პროექტის ფარგლებში სკოლებს ჩაუტარდება, როგორც კოსმეტიკური რემონტი, ასევე გამაგრებითი სამუშაოები. მოეწყობა ცენტრალური გათბობის სისტემა, ეზო და სპორტული მოედნები. არის მოლოდინი, რომ სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება და მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს კომფორტულ გარემოში დაიწყებენ.

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია - „ენენ ჯგუფი“ ახორციელებს.

ცნობისათვის, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლებში 3 ახალი სკოლა აშენდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 სკოლას და მიმდინარეობს კიდევ 2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

ახალი საბავშვო ბაღი ზედა საზანოში...

კიდევ ერთი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ახლახან დაიწყო, სოფელ ზედა საზანოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღია.

საბავშვო ბაღი ორსართულიანია. პროექტის დასრულების შემდეგ, 100-მდე აღსაზრდელი სკოლამდელ განათლებას თანამედროვე და უსაფრთხო გარემოში მიიღებს. შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის, ასევე დაცული იქნება ბავშვთა უსაფრთხოებისთვის საჭირო ყველა სტანდარტი.

საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოებს, რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მტმ“ ახორციელებს, რომლის ღირებულება 944483 ლარია. აღნიშნული პროექტი გარდამავალია და 2022 წელს დასრულდება.

გოგნი-ტყიბულის გზა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, გზის სამშენებლო სამუშაოები პირველ მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე მოინახულა და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო დამატებითი საჭიროებების შესახებ.

„სოფელ გოგნში სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ცოტა ხნის წინ დაიწყო, აქტიურად მიმდინარეობს. ამ დროისათვის მშენებელი კომპანია ბეტონის საფარის დაგების სამუშაოებს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარი 1850 გრძ/მ-ზე და სანიაღვრე არხები. კეთილმოწყობილი გზის მეშვეობით ტრანსპორტირების დრო საგრძნობლად შემცირდება და გადაადგილებაც კომფორტული და უსაფრთხო გახდება. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

გზის სამშენებლო სამუშაოებს, რგფ-ისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს„ მეკა“ ახორციელებს.

გზა ვადამდე ადრე...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ სიქთარვისა და ჩხარი-ეწრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილზე მოინახულა და წარმომადგენლებისგან პროექტის მიმდინარეობისა და ვადების დაცვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.



ხელშეკრულების მიხედვით, აღნიშნული პროექტის დასრულება 2022 წელს უნდა მოხდეს, თუმცა დღეის მდგომარეობით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ ბორანი“-ს მიერ წინსწრებით ხდება 2022 წლის ვალდებულების შესრულება.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა 4,3 კმ-იანი გრძივი მონაკვეთის საავტომობილო გზა, ა/ბეტონის საფარის მეორე ფენის დაგება, ასევე დასრულდება სანიაღვრე სისტემებისა და მიერთების მოწყობა.

აღნიშნული პროექტის სამშენებლო სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შპს „ბორანი“ ახორციელებს, რომლის საერთო ღირებულება 1 105 000 ლარია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ამირან ვერულაშვილი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს — მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/ თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ (იხილეთ აქვე).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №გ-29.29212211 თარიღი: 09/08/2021

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს—საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს N 02/08/01 განკარგულებით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები დაინიშნა 2021 წლის 2 ოქტომბერს. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად ევალებათ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გამოყონ და გამოაქვეყნონ იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა, აგრეთვე იმ შენობა–ნაგებობების ნუსხის განსაზღვრა, სადაც საარჩევნო სუბიექტებისათვის შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი"–ს 45–ე მუხლის მე–8, მე-9 პუნქტების, 46–ე მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად გამოიყოს: ა) ა(ა)იპ — თერჯოლის კულტურის სახლთან არსებული დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქუჩა ქ. №7). ბ) ა(ა)იპ — თერჯოლის სპორტულ–გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ადმინისტრაციული შენობის დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N103); გ) ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრთან არსებული დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, მერაბ კოსტავას ქუჩა ქ. №4).

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატებისა და ბანერების გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს შემდეგი ადგილები:

ა) ქ. თერჯოლისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელები;

ბ) მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გარე განათების ბოძები;

გ) რუსთაველის ქუჩაზე შუქნიშნიდან ავტოსადგურის მიმართულებით (მარცხენა მხარეს) არსებული კედელი;

დ) ყოფილი კინოთეატრ „გამარჯვების“ ადმინისტრაციული შენობა;

3. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს სხვა შენობა–ნაგებობებსა და ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 2. აიკრძალოს საარჩევნო პლაკატებისა და ბანერების გაკვრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ:

ა) საკულტო ნაგებობებზე;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების, საჯარო სკოლების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;

გ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ა.(ა).ი.პ), რომლებიც ეწევიან სააღმზრდელო და საგანმანათლებლო საქმიანობას, ადმინისტრაციული შენობების კედლებზე;

დ) იმ დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების კედლებზე, რომლებიც გამოიყენება და დროებით სარგებლობაში გადაეცემათ თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას - შემდგომში საარჩევნო უბნების განთავსებისათვის;

ე) საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 3. დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს, თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში აუქციონის გარეშე გადასცეს, როგორც, ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრული საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად გამოყოფილი შენობა-ნაგებობები (დარბაზები), აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სხვა შენობა-ნაგებობები, მათში განთავსებული ინვენტარით - შემდგომში, საარჩევნო უბნების განთავსებისა და ფუნქციონირების მიზნით. ამავდროულად მერია ვალდებულია დაფაროს გადაცემული შენობა-ნაგებობ(ებ)ის კომუნალური ხარჯები.

მუხლი 4. განკარგულება გადაეგზავნოს თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას სახელმძღვანელოდ და ცესკოს - ვებ გვერდზე გამოქვეყნებისათვის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების გამოქვეყნება ვებ-გვერდზე და ადგილობრივ პრესაში.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7).

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ვერულაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

კორონავირუსი გვიტევს!

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს—მკაცრად დავიცვათ რეგულაციები, ჩავიტაროთ ვაქცინაცია!

გასულ კვირაში ქვეყანაში უკიდურესად გაიზარდა კოვიდ-ვირუსით დაინფიცირების შემთხვევები და მან ყოველდღიურად საშუალოდ 4000-დან 5000-მდე, ზოგჯერ კი უფრო მეტიც შეადგინა.

სამწუხაროდ, ასევე კატასტროფულად გაიზარდა ყოველ-დღიურად გარდაცვლილთა რაოდენობა, ეს რიცხვი 30-50 ფარგლებში მერყეობდა.

კრიზისული ვითარება შეიქმნა სტაციონარებში საწოლი ად-გილების თვალსაზრისით, რის გამოც ჯანმრთელობის დაც-ვის სამინისტრომ, მიიღო გადაწყვეტილება საველე ჰოსპიტა-ლის მოწყობის თაობაზე.

ფაქტია, რომ პაციენტთა მკურნალობისათვის რესურსები ამოუწურავი არ არის და ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელო-ვანია, რომ ყველა ჩვენგანმა მაქსიმალურად ზუსტად დაციც-ვათ ის პრევენციული რეგულაციები, რომლებიც ხელისუფლე-ბამ დააწესა.

—აიკრძალა ხალხმრავალი ქელეხები, ქორწილები და სხვა რიტუალური შეკრებები.

—სავალდებულო გახდა პირბადის ტარება, როგორც დახუ-რულ ისე ღია სივრცეში.

—გაუქმდა სხვადასხვა სახის დაგეგმილი ფესტივალები, სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები და სხვა.

აღნიშნულ რეგულაციათა დაცვაზე კონტროლის პარალე-ლურად, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის მერიის, სს „ევექსის“ თერჯოლის კლინიკის და იმერეთის სამ-ხარეო სამედიცინო ცენტრის შპს „იმერმედის“ ორგანიზებით დაიწყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მასობრივი იმუნიზა-ციის ახალი ეტაპი.

30 ივლისიდან პირველად დაიწყო აცრები შპს. „იმერმედში“ (იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი— თერჯოლამედი), სადაც გაიხსნა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კა-ბინეტი.

აქ იმუნიზაციის პროცესი პირველივე დღიდან აქტიურად დაიწყო. პირველ რამდენიმე დღეში ვაქცინაცია ჩაუტარდა 116 რეგისტრირებულ მოქალაქეს სინოფარმით და 48-ს ფაიზე-რით. გართულებებს ადგილი არ ჰქონია.

ვაქცინაცია შესაძლებელია ყოველ დღე, კლინიკა „იმერმე-დი”-ს იმუნიზაციის კაბინეტში.

რეგისტრირებული პირები კლინიკაში უნდა გამოცხადდნენ 10 წუთით ადრე.

ვაქცინაცია შესაძლებელია 18 წლის და ზემოთ ასაკის მოქა-ლაქეთათვის, საქართველოში ამჟამად არსებული ვაქცინებით:

ფაიზერით
სინოვაკით
სინოფარმით
მსურველების რეგისტრაცია-ონლაინ
რეგისტრაციის პორტალი: https: / / booking / moh.gov.ge /
საკონტაქტო : 598-244-400

განსაკუთრებით ხაზგასასმელი სი-ახლეა, რომ გასულ კვირას თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ ამბულატორი-ულ ცენტრებში, სოფლად მცხოვრები

მოსახლეობის covid-19-ის საწინააღ-მდეგო ვაქცინაცია დაიწყო. ვაქცინაცია ჯერჯერობით 7 ამბულატორიაში ტარდება (სიქთარვა, რუფოთი, თუზი, ზ. სიმონეთი, ჩხარი, კვახჭირო, ჭოგნარი).

საყოველთაო ვაქცინაციის პროცესი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიი-სა და იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის შპს „იმერმედი»-ს ორგანიზე-ბით დაიგეგმა, რომელთა მიერ, დაკომ-პლექტდა ამცრელი ბრიგადები შესაბა-მისი სამედიცინო პერსონალითა და ვაქ-ცინაციისთვის საჭირო აღჭურვილობით.

სოფლად მცხოვრები მო-სახლეობის ვაქ-ცინაცია სოფ-ლის ექიმებისა და ექთნების ჩართულობით ხორციელდება.

მიმდინარე პროცესს მუნი-ციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი ადგილზე და-ესწრო, რომელმაც ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, ვაქცინაციის პრო-ცესში ჩართულობისთვის მადლობა გა-დაუხადა და თითოეულ მოქალაქეს ჯან-მრთელობა უსურვა.

„COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქ-ცინაცია ინდივიდუალური უფლება და საყოველთაო პასუხის-მგებლობაა. ჩვენ მაქსი-მალურად შევუწყობთ ხელს, რომ მუნიციპა-ლური საზოგადოებრი-ვი ჯანმრთელობის ცენ-ტრმა უზრუნველყოს ვაქცინაციის ლოკაციებ-ზე შესაბამისი ვაქცინე-ბის მომარაგება და ცივი ჯაჭვის მონიტორინგი, ასევე სრული კოორდი-ნაციაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ამცრელ ბრი-გადებსა და ასაცრელ კონტიგენტს შორის“— აღნიშნა ლაშა გოგიაშ-ვილმა.



ჩვენ ავიცერით! თქვენ?!

თერჯოლის მუნიციპა-ლიტეტში, სოფლის ამ-ბულატორიებში, ჩინური კომპანიის მიერ წარმოებული, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით, „სინო-ფარმით“ აცრაა შესაძლებელი.

მოსახლეობის თქმით, მძიმე ეპიდემიო-ლოგიური სიტუაციის ფონზე, კოვიდთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალე-ბა ამ ეტაპზე საყოველთაო ვაქცინაციაა.

* * *

გასულ კვირას, მუნიციპალიტეტს არ-სებული ეპიდსიტუაციის და იმუნიზაციის პროცესის გასაცნობად დაავადებათა კონ-ტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვა-ნელი **ამირან გამყრელიძე** ესტუმრა. იგი იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრში, შპს „იმერმედში“ მუნიციპალიტეტის მერს, **ლაშა გოგიაშვილს**, ა(ა)იპ მუნიციპალუ-რი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელსა და სამედიცინო დაწესე-ბულების მედ-პერსონალს შეხვდა.

შეხვედრაზე, საზოგადოებრივი ჯან-მრთელობის ეროვნული ცენტრის დირექ-ტორმა, ხელმძღვანელ პირებთან და სამე-დიცინო დაწესებულების მედ-პერსონალ-თან ერთად გართულებულ ეპიდსიტუაცი-აზე, მოქალაქეთა მასობრივ ვაქცინაციასა და გასატარებელ ღონისძიებებზე ისაუბრა.

მოსახლეობის საყოველთაო იმუნიზაცი-ისთვის, მუნიციპალიტეტში არსებულ რე-სურსთან ერთად, სოფლის ამბულატორიე-ბიც იმუშავებს, სადაც შესაძლებელი იქნება მოქალაქეების ჩართვა ვაქცინაციის პრო-ცესში. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის იმუნიზაცია სოფლის ექიმებისა და ექთნე-ბის ჩართულობით განხორციელდება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, კმაყოფილება გამოხატა მუნიციპალიტეტის მასშტაბით COVID-19-ის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებებით და მუნიციპალიტეტის მერსა და სამედიცინო დაწესებულების მედ -პერსონალს აქტიური ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა.

„თერჯოლა“

ტკივილიანი სტრიქონები კორონავირუსულ პანდემიაზე...

მსოფლიო საგონებელშია. ყველაზე მდიდარი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე სანდო და თანამედროვე ტექნოლოგიე-ბით აღჭურვილი ქვეყნებიც შეშინდნენ უკვე. კორონა სულ ერთიანად გვიტევს ძლიერსაც და სუსტსაც, ფერად და შავ-კანიანსაც, თეთრკანიანსაც, მდიდარ-საც, ღარიბსაც... ამ პარტიელსაც, იმ პარტიელსაც... აინუნშიაც არავის და არაფერს აგდებს.

მედიკოსები ოცდაოთხსაათიან რე-ჟიმში იღვწიან სიცოცხლის გადასარჩე-ნად. ისინი სულ უფრო და უფრო ხმა-მაღლა მოგვიწოდებენ დავიცვათ შემო-თავაზებული რეკომენდაციები.

ამ დროს...

მიდიხართ ქუჩაში, ადამიანები ლა-ღობენ... მიუხარიათ, მოუხარიათ... გა-დაეხვევიან ერთმანეთს, გადაკოცნიან ზურგზე ხელების თათუნით... უხარიათ სიცოცხლე, რომელსაც საფრთხეს უქ-მნიან...

ჩერდები, გინდა შეუძახო—ხალხო, ნუ იკლავთ თავს, ატარეთ პირბადე, დაი-ცავით დისტანცია, ბოლოს და ბოლოს შეეშვით ხალხმრავალი სუფრების გაშ-ლას...

თქვენც არ მომიკვდეთ...

გიკვირთ ადამიანები როგორ თავი-სუფლად, როგორ დაუდევრად აგდებენ სიცოცხლეს სასწორზე...

ახლა თერჯოლურ-იმერული კილოკა-ვი: „რაი? კორონაიიი? კორონა კი არა, ის, კიდო.

სა არი კორონა, შენ ხედავ თუ მე ვხე-დავ“...

კეთილო ადამიანებო, შეიცვალეთ სრულიად გაუგებარი დამოკიდებულე-ბა სიცოცხლისადმი. დიდხანს იყავით ამ ლამაზ დედამიწაზე.

კორონა აგერ არის, ჩვენს გვერდით, ჩვენგან უჩინრად გვითვალთვალებს, და...

ჩვენს დაუდევრობას სამწუხაროდ ცუდად ამთავრებს.

კორონა გადამდებია!

- კორონა ჯიუტად გვისწორებს თვალს.
- კორონა რომ გამოგვეცხადა, ცნო-ბისმოყვარეობის დონეზე დავუხ-ვდით.

—ზარის შემოკვრა კი დავაგვია-ნეთ.

- კორონას უჩინმაჩინის ქუდი ახუ-რავს.
- კორონასათვის სულ ერთია—მის წინ მეფეა თუ მონა!
- კორონამ დაგვანახა ახლომხედვე-ლობა!
- ყოველი დღის მთავარი განაწესი— გვახსოვდეს კორონა!
- თუ გვინდა კიდევ დიდხანს ვუცქი-როთ ამ ლამაზ დედამიწას—ავიფა-როთ პირბადე, დავიცვათ დისტან-ცია და ჩავიტაროთ ვაქცინაცია!

გარდა ამისა, შევეშვათ უაზრო „ხვევ-ნა-კოცნა, მტლაშამტლუშს“, გადავდოთ გვერდზე უზომო სუფრა-წვეულებები... ვიქონიოთ მოთმინება...

ვიყოთ და გვიხაროდეს ერთმანეთი...

„იმ ქვეყნად ნათელში ყოფნა“ სად გაგ-ვექცევა!?

ნუგზარ გამყრელიძე

„ძლევაი საკვირველი“

900 წლის წინ, 1121 წლის 12 აგვისტოს, მეფე დავით აღმაშენებლის სარდლობით თბილისთან ახლოს, დიდგორზე, ქართველებმა თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. საქართველოს ისტორიაში ეს ომი „ბრძოლაი საკვირველის“ სახელით შევიდა.

დიდგორის ბრძოლის წინაპირობა

იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება თურქ-სელჩუკებსა და საქართველოს სახელმწიფოს აშკარად უპირისპირებდა ერთმანეთს. ყველაფრიდან ცხადი იყო, რომ ეს ძლიერი წინააღმდეგობა დღეს თუ ხვალ იარაღით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ საიმდღისო ამოცანად იგი საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ განდევნილ და შევიწროებულ თურქთა და ქალაქების—თბილისის, დმანისისა და განჯის თავკაცთა ელჩობამ აქცია. ამან დააჩქარა კოალიციური ლაშქრის შექმნა და დიდგორის ბრძოლაც. ყველა ძველი ისტორიკოსის (დავითის ისტორიკოსი, მათე ურჰაელი, ალ-ფარიკი მოწმობით, დავითის მიერ აწიოკებულმა თურქმანებმა და აღნიშნული ქალაქების მმართველი ზედაფენის წარმომადგენლებმა მწუხარების ნიშნად შავად ხელპირშეღებილებმა, ტანსაცმელშემოფლეთილებმა და თავზე ნაცარდაყრილებმა გადაწყვიტეს „მათ ზედა მოწევნული ყოველნი ჭირნი“ მოეთხროთ და დახმარება ეძიათ ძლიერ მაჰმადიან მფლობელებს შორის. ეს ელჩობა, დავითის ისტორიკოსის ცნობების მიხედვით,1121 წლის აპრილ-მაისში შემდგარა.

ვის მიმართეს დახმარებისათვის თურქებმა და ქალაქების წარმომადგენლებმა? ამ კითხვაზე საისტორიო წყაროებს სხვადასხვაგვარი ცნობები აქვთ დაცული; ასე მაგალითად, დავითის ისტორიკოსის ცნობით, „შეიწრებულნი თურქმანნი“ და მოქალაქეთა წარმომადგენლები „წარვიდეს სულტანს წინაშე და ყოველსა სპარსეთსა“, ე.ი. ისინი, უპირველესად, სულთანს ხლებიან, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილებულან და სხვა მაჰმადიანი მფლობელებისათვისაც მიუმართავთ. ისტორიკოსის განცხადება „წარვიდეს... ყოველსა სპარსეთსა“ სწორედ ამაზე მიუთითებს. სომეხი ისტორიკოსის მათე ირჰაელის მიხედვით კი, შავტანსაცმლიანი და თავდაუხურავი ელჩები „გაჰკიოდნენ თავიანთ სულთანთან ქალაქ განძაკში მელიქთან ტაფარის ძესთან და ტირილით ჩიოდნენ მის წინაშე თავიანთ დაღუპვას. ხოლო სხვები მივიდნენ არაბთა ოლქში, კარმიანის (კაბადოკიის) ქვეყანაში ამირა ხაზისთან არდუხის ძესთან და დიდი ტირილით უამბობდნენ მას... ხოლო მან თავისი ძლიერებისა და ზვიადობის გამო ბრძანა შეკრებილიყო თავისი კარების სიმრავლე“.

მათე ურჰაელის მიერ მოხსენიებული სულთანი მელიქი უნდა იყოს დავითის ისტორიკოსის მიერ კოალიციური ლაშქრის მონაწილედ მოხსენიებული და სულთნის ძედ მიჩნეული მელიქი. ასე რომ, მათეს ცნობით, თბილელთა და სხვათა წარმომადგენელთა ერთ ნაწილს, უწინარეს ყოვლისა, განძაში მყოფი მალიქისათვის მიუმართავს, ხოლო მეორე ნაწილს — ამირა ღაზისათვის, არდუხის ძისათვის. მათე ურჰაელის ღაზი არდუხის ძე იგივეა, რაც სხვა წყაროების ილღაზი არდუხის ძე.

მოლაშქრეთა რაოდენობა

მიუხედავად იმისა, რომ დიდგორის ბრძოლაზე რამდენიმე ისტორიკოსი მოგვითხრობს, დღემდე ზუსტად არავინ იცის კონკრეტულად რამდენი ადამიანი გამოვიდა ბრძოლის ველის

ან ერთ ან მეორე მხარეს. წყაროები ქართველების მხრიდან დაახლოებით 40-56 ათას მეომარს ითვლიან, მათ შორის არიან ალანებიც, ყივჩაღებიც და 100 „ფრანგიც“, ანუ ევროპელი ჯვაროსნები, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ დიდგორის ბრძოლაში.

ისტორიკოსი შოთა მესხია თავის წიგნში „ძლევაი საკვირველი“ ამბობს, რომ ერთადერთი, რაც ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, არის ის, რომ ქართული ჯარის წინააღმდეგ უზარმაზარი ლაშქარი დაძრულა: „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა...“

სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის გადმოცემით, მაჰმადიანი ლიდერების გაერთიანებული ლაშქრის რიცხვი 560 ათასს აღწევდა.

ანტიოქიის სამთავროს კანცლერი გოტიე ასახელებს 600 ათასს.

არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის თხზულების არაბულ დედანში მხოლოდ „ათასი“ წერია, მაგრამ რამდენი ათასი, აღნიშნული არ არის. ზოგი მკვლევარი ამ ნაკლულ ტექსტს 30 ათასით აღადგენს, ზოგი - 300 ათასით.

სომეხი ისტორიკოსის სმბატ სპარაპეტის მონაცემებით, ამირა ილღაზს საქართველოში 150 ათასიანი ჯარით ულაშქრია.

ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, მტრის ჯარი 300 ათასი მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

ანუ წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ კოალიციური ლაშქრის რაოდენობა სულ მცირე 300 ათასი იყო, მაქსიმუმ კი - შეიძლება ნახევარ მილიონზე მეტიც.

„რამდენი იყო ჩვენი ჯარი და რამდენი მოწინააღმდეგის, სადაო საკითხია. შეიძლება ათჯერ და ოთხჯერ მეტი არ იყვნენ, მაგრამ შუა საუკუნეებში 10-15 ათასით მეტიც რომ ყოფილიყო, ესეც დიდ უპირატესობად მიიჩნეოდა. ქართული ჯარი დაახლოებით 50-55 ათასი იქნებოდა.

„დავითის, როგორც სამხედრო სტრატეგის გენიალურობა ის იყო, რომ ილღაზი, საკმაოდ გამოცდილი სარდალი, რომელსაც მანამდე ჯვაროსნები ჰყავდა დამარცხებული, აიძულა ბრძოლა მიეღო იქ, სადაც ის თავის რიცხობრივ უპირატესობას ვერ გამოიყენებდა“,—ამბობსისტორიკოსი მიხეილ ბახტაძე.

ბრძოლა

დიდგორის ბრძოლა დავითის მიმართვით დაიწყო:

„ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ“.

ბრძოლის წინ დავითის ლაშქარს 200 მეომარი გამოეყო და მტრისკენ გაემართა. ისინი თითქოს დანებებას აპირებდნენ, მაგრამ როგორც კი ლაშქრის შუაგულში აღმოჩნდნენ, ბრძოლაზე გადავიდნენ. ამის შემდეგ მომხდარს არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი ასე აღწერს: „ წინა რაზმები აირივნენ. უკან მდგომ რაზმებს ეგონათ დავმარცხდითო და გაიქცნენ. თავდავიწყებით გარბოდნენ მუსლიმნი და ისე ეჩქარებოდათ განსაცდელიდან თავის დაღწევა, რომ ერთმანეთზე გადადიოდნენ და ვეცრიც დაიხოცა“. ბრძოლა დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა და ქართული ჯარის გამარჯვებით დასრულდა. ისტორიული წყაროების მიხედვით, დიდი იყო როგორც მსხვერპლის, ასევე ტყვედ ჩავარდნილების რაოდენობა. დავითის ისტორიკოსის მონათხრობით, გლეხებმაც კი ნახეს, როცა ქართველ მოლაშქრეებს არაბთა მეფეები მოჰყავდათ ტყვედ, ხოლო ტყვედ წამოყვანილ სხვა გოლიათებზე სიტყვის თქმა რაღა საჭიროაო.

მწერალი ლევან გოთუა აღნიშნავდა, რომ დიდგორის ქედზე, სათოვლიასა და ნაბაღრების თავზე აღმართულ მთას ხალხი დღესაც „დავითის მთას“ ეძახის. გოთუა ფიქრობდა, რომ ეს სახელწოდება დიდგორის ბრძოლას უკავშირდებოდა. ამას გარდა, შოთა მესხია წერს, რომ: **„დიდგორის უმაღლესი წერტილის ხელოვნურობის უტყუარი ნიშნების მქონე ყორღანი, ხალხში შემონახული გადმოცემით, „დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა საერთო სამარეა“.**

დიდგორის ბრძოლის შემდეგ

აღმაშენებელმა შემოიერთა თბილისი, რომელიც 400 წლის განმავლობაში მტრის ხელში იყო. მისი გათავისუფლების შემდეგ დავითმა დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. **„მაგრამ ამით არ შემოიფარგლება დიდგორის ბრძოლის მნიშვნელობა. დიდგორით ყველასთვის ცხადი გახდა, რომ აღმოსავლეთში ახალი, მძლავრი ქრისტიანული სახელმწიფო წარმოიქმნა. იერუსალიმის სამეფოს, ანტიოქიის სამეფოს უკვე უჭირდათ თურქ-სელჩუკებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ამიტომ ქართველების გამარჯვება მათაც საერთო ქრისტიანულ გამარჯვებად აღიქვეს.**

იმ პერიოდში მუსულმანებს ფაქტობრივად ორი ფრონტი ჰქონდათ, ერთი დასავლეთით - ჯვაროსნებთან და მეორე კავკასიაში. თუ სამხრეთ კავკასიაში ქართველები დამარცხდებოდნენ, ზურგს გაიმაგრებდნენ და ჯვაროსნული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებდნენ. მაგრამ ქართველების გამარჯვებით მათ ზურგში ისევ დარჩათ პრობლემები“.

დიდგორის ველზე მტრის კოალიციური ლაშქრის დამარცხების, მისი საკმაოდ ხანგრძლივი დევნისა და საბოლოოდ განადგურების შემდეგ, დავით აღმაშენებელს გზა გაეხსნა თბილისისაკენ. დიდგორის ბრძოლაში მეფემ დაამარცხა არა მარტო თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი, არამედ იმ ქალაქების დამოუკიდებლობაცა და გაერთიანებაც, რომლებიც საქართველოში კოალიციურ ლაშქარს იწვევდნენ დავითის წინააღმდეგ. დიდგორის ველზე არსებითად გადაწყდა თბილისის, დმანისისა და სხვა ქალაქთა ბედიც, იწყებოდა მათი დამოუკიდებლობის აღსასრული. მას შემდეგ, რაც საქართველოს ქალაქების კავშირმა (თბილისმა და დმანისმა) ასეთი დიდი ომი გაუმართა სამეფო ხელისუფლებას, დავითი სავსებით დარწმუნდა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ქალაქები უბრძოლველად არ დასთმობდნენ პოზიციებს და მათ კიდევ ახალი დამხმარე ძალების მოწვევა რომ არ ეცადათ, მეფემ გეზი პირდაპირ თბილისისაკენ აიღო. ასე რომ, 1122 წელს თბილისის, ხოლო 1123 წელს დმანისის აღება, არსებითად, სწორედ დიდგორის ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა.

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება და დასაბამი მისცა ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში, ამასთანავე, საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი.

მომზადებულია ინტერნეტსივრცეში მოძიებულ მასალებზე, ისტორიკოს შ. მესხიას სტატიებზე დაყრდნობით

გვახსოვდეს აფხაზეთი! გვახსოვდეს სამაჩაბლო! გვახსოვდეს ჩვენი გმირები!

***ცამეტი წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომიდან. დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის მორიგი ნაწილი სამაჩაბლო და ზემო აფხაზეთი, რომლებიც დღემდე ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ამ ბოლოს თითქოს რაღაც იმედის ნაპერწკალი გაჩნდა, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, პასუხისმგებლობა 2008 წლის ომის შედეგებზე ოკუპანტ ქვეყანას—რუსეთს დაეკისრა. მაგრამ ოკუპაცია დღემდე გრძელდება, თან კვლავ იტაცებენ ადამიანებს, მავთულხლართები ქვეყნის სიღრმეში მოიწევს.*

გვჯერა, საქართველოსთვის დაღვრილი სისხლი უქმად არ ჩაივლის. ჩვენი ვალია პატივი მივაგოთ აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს, რომელთა შორის ხუთი თერჯოლელი ვაჟკაცია...

* * *

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილეებთან, საკრებულოს წევრებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, 8 აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულ მებრძოლებს პატივი მიაგო და გმირთა მემორიალები და საფლავები გვირგვინებით შეამკო.

„13 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან. ეს არის დღე, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ტრაგედიას, რომელიც 2008 წელს დაგვატყდა თავს. თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალი და ვალდებულებაა ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებზე ზრუნვა, ყურადღება და თანადგომა. მარადიული ხსოვნა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ ვაჟკაცებს!—აღნიშნა, ლაშა გოგიაშვილმა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში თერჯოლიდან 5 მებრძოლი დაიღუპა: ვალერი გოგნაძე, უშანგი სოფრომაძე, გიგა სახელაშვილი, ბადრი ბასილაძე და ალია ბარდაველიძე. მერის ინიციატივით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათ ოჯახებს ფულადი დახმარება გადაეცათ.

ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა სიმონეთში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი და რეკრეაციული ზონა ეწყობა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები ადგილზე მოინახულა და დამატებითი საჭიროებების შესახებ ისაუბრა.

„2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული სამხედრო მოსამსახურის, ალია ბარდაველიძის სახელის უკვდავსაყოფად და პატივისცემის ნიშნად, მისივე სახელობის მემორიალი და მცირე მოსასვენებელი სივრცე ეწყობა. ტერიტორია შერჩეულია ოჯახისა და მოსახლეობის სურვილის შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის გმირის საცხოვრებელ სახლთან ახლოს. ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ომში დაღუპული გმირების სახელი არასდროს მიეცეს დავიწყებას, ხოლო მათი ოჯახის წევრებმა იგრძნონ ყურადღება, ზრუნვა და თანადგომა.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა მემორიალი და მცირე მოსასვენებელი ადგილები, განთავსდება ფანჩატური, საპარკე სკამები და ურნები, ასევე დაიდგმება საბავშვო ატრაქციონი“—აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

პროექტის სამშენებლო სამუშაოებს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მშენებელი-2017” ასრულებს, სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

„თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“.

ჭოგნარი და კვახჭირი მოსაზღვრე სოფლებია. ვის არ ჩაუვლია დიდი სამამულო ომის გმირის—ბუხაიძის ძეგლთან, ამ სოფლების და მთელი რაიონის ყოველმა ახალგაზრდამ თუ ხანდაზმულმა ზეპირად იცის ცნობილი სტრიქონები—რომ შემეძლოს საფლავიდან ძმებო მხრების წამოწევა... ამ სულისკვეთებით იზრდებოდნენ აქ ბიჭები, ასე გაიზარდნენ ბადრი და გიგა.

ბადრი ბასილაძე

იზიდავდა ხელოვნება, გაჰყვა კიდეც მშვენიერების ამ გზას.

ეწეოდა ქორეოგრაფიულ საქმიანობას, საინტერესო ღონისძიებებს ატარებდა ჭოგნარისა და ბარდუბნის სკოლებში. 2008 წლის მარტში ბადრიმ ქუთაისის სამხედრო აეროდრომზე დაიწყო მუშაობა. 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დავალების შესრულების დროს დაიღუპა. სოფელი ამაყობდა მისი არსებობით, სოფელი ამაყობს მისი გმირული სიკვდილით. ბადრის ოჯახში დღესაც თვალცრემლიანი ჰყვებიან თვითმხილველთა ნაამბობს.

სოფლის სასაფლაო მისი ნავთსაყუდარი.

გიგა სახელაშვილი

უყვარდა კვახჭირი და მამაპაპისეული ეზო-კარი, დროის დიდ ნაწილს სოფელში ატარებდა, წარჩინებით სწავლობდა. დაამთავრა უშიშროების აკადემია, წოდებით ოფიცერი წლების განმავლობაში მუშაობდა იმერეთის სამხარეო პოლიციაში. რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების პირველ დღესვე გიგა სხვა თანამებრძოლებთან ერთად ომში წავიდა. სარდლობის ბრძანებით ოსეთში უნდა გადასულიყვნენ, მაგრამ მანამდე ონში, სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

გიგას მცირეწლოვანი შვილები ახლა დიდები იქნებიან, გაზრდილნი მამის გადიდებულ სურათთან, გიგას საფლავი მშობლიურ სოფელშია.

„შენგან დანთებულ ცეცხლზე მტერი დაიწვება“

ალეკო ბარდაველიძე

სამშობლოს დამცველთა რიგებში ერთ-ერთი პირველი ჩადგა ზედა სიმონეთელი ალეკო ბარდაველიძე. უმაღლესი სამხედრო განათლების მქონეს, სამხედრო საქმის პროფესიონალს ერთად-ერთ მიზნად და მოვალეობად ძირძველი ქართული მიწის—სამაჩაბლოს დაცვა ესახებოდა.

ლეგენდად დადის მისი გმირობის ამბები. მას სწამდა, უყვარდა, ემსახურებოდა სი-

მართლეს. „ბრძოლის ველზე ვეფხვს ჰგავდა“ თურმე. თვითმხილველნი მოგვიანებით ჰყვებიან მისი გმირობის და თავდადების ამბებს.

ალეკო ბარდაველიძე ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით არის დაჯილდოებული.

„მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები“

ვალერი გოგნაძე

8 აგვისტოს ღვანკითელმა ვალერი გოგნაძემ დედას ტელეფონით აცნობა „ცხინვალში

გვაგზავნიან, მალე დავბრუნდებიო“. დატოვა იმედიანი სიტყვა და ყველაზე ცხელ წერტილში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. ცხინვალიდან ვარიანში გადაიყვანეს, იაკობ გოგებაშვილის დედაენას ნაზიარები, იაკობის მშვენიერ სოფელში დავალების შესრულების დროს 10 აგვისტოს დაიღუპა. ვალერი გოგნაძემ დანაპირები ვერ შეასრულა, ვეღარ დაბრუნდა. ახლა მისი ტანჯული სხეული მუხათგვერდის სასაფლაოზე განისვენებს. სოფელში კი მისი სახელობის მემორიალია. ოჯახმა ვალერის დაღუპვა გვიან შეიტყო. დედის ცხელი ცრემლი მის საფლავს 19 ოქტომბერს დაეცა, თითქმის მთელი ღვანკითი ჩავიდა მაშინ მუხათგვერდში.

„სამშობლოსათვის ხელახლა მოვკვდები, ხელახლა, თავიდან, თავიდან“

შმაგი სოფრომაძე

უფროსი სერჟანტი შმაგი (უშანგი) სოფრომაძე და პირველი ქვეითი ჯავშან-სატანკო ბატალიონი განთავსებულ იქნა ქარელის რაიონის, სოფელ ავნევში, საიდანაც იმავე დღეს გადაადგილდნენ ცხინვალის მიმართულებით, სოფელ ტბეთთან. მისი ტანკი „ტ.72“ შევიდა ცხინვალში დაჭრილების დასახმარებლად, რა დროსაც განხორციელდა საავიაციო დაბომბვა, ვეღარ შეძლო უკან გამოსვლა და ტყვედ ჩავარდა. უშანგის თანამებრძოლი იგონებს:

მოვყევით საჰაერო დაბომბვის და ინტენსიური სროლის ქვეშ. დამამცირებლად გვეპყრობოდნენ. უშანგის წინ დაუფინეს საქართველოს ეროვნული დროშა, უბრძანეს ფეხით შემდგარიყო დროშაზე. უშანგმა ბრძანება არ შეასრულა, აყურებინეს მისი საფლავის გაჭრა და დახვრიტეს.

შმაგის საფლავი მუხათგვერდშია. ერთი მუჭა მშობლიური მიწაც აყრია, ძევრში კი უშანგის სახელობის ქუჩა, სკვერი და სკოლაა.

„ვიგლოვოთ, მაგრამ ისე ვიგლოვოთ, არ ჰგავდეს იგი სულით დაცემას“

ბადრის, გიგას, ალეკოს, ვალერის, შმაგის საფლავებთან, აქ მშობლიურ სოფლებში და იქ, მუხათგვერდში ხშირად მიდიან არა მარტო ოჯახის წევრები, არამედ ნაცნობ-უცნობები, ახალგაზრდები, პატივს მიაგებენ, რადგან მათი გზა არის გზა უკვდავებისაკენ, მათ მაგალითზე თაობები აღიზრდებიან, სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავდადების გაკვეთილებს ისწავლიან.

გვახსოვდეს ვისი გორისა ვართ!

ჟუჟუნა ცხადაძე

ჩვენ ვიცავთ კულტურულ მემკვიდრეობას...

გაზეთ „თერჯოლის“ 2021 წლის 15 ივლისის №14-ში სათაურით „ჩვენ ვიცავთ კულტურულ მემკვიდრეობას...“ გამოვაქვეყნეთ მასალები „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში ღვანკითის საჯარო სკოლაში განხორციელებული პროექტის შესახებ, რომლის შემაჯამებელი პრეზენტაციისათვის მასში მონაწილე თითოეულმა კლასმა მოაწყო თავთავიანთი პავილიონები და ჩაატარა შესაბამისი აქტივობები.

თითოეული პროექტი იმდენად საინტერესოდ იყო გააზრებული და განხორციელებული, რომ თავი ვალდებულად ჩავთვალეთ ყველა მათგანზე მცირე ფორმატში მაინც მოგვეთხრო, რაც დიდი მცდელობის მიუხედავად ორ საგაზეთო გვერდზე ნაკლებ მოცულობაში ვერ განვათავსეთ. ამჯერად გთავაზობთ წერილის მეორე ნაწილს.

„ჭიდაობას რა უნდა?!“

ქართული ჭიდაობა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე არამატერიალური კულტური ძეგლია. ჭიდაობის პოპულარიზაციას მიეძღვნა სკოლაში აქტივობა პედაგოგ ფრიდონ გეწაძის ხელმძღვანელობით. X კლასის მოსწავლემ, ლევან კოვზირიძემ წარმოადგინა საინტერესო ელექტრონული პრეზენტაციები ქართულ ჭიდაობასა და ფალავნებზე, რის შემდეგაც დაიწყო სასკოლო ტურნირი სხვადასხვა ასაკობრივი და წონითი კატეგორიის მოსწავლეებს შორის.

მონაწილეობდნენ IV კლასიდან ილია რობაქიძე და იოსებ კუბლაშვილი, ხოლო IX კლასიდან დიმა რობაქიძე და გიორგი კუბლაშვილი.

ტურნირის არბიტრი გახდა არაერთი რესპუბლიკური თუ რეგიონალური ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი X კლასის მოსწავლე ზურა გავაშელაშვილი.

„მათემატიკა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებში“

აქტივობა, რომელიც IX კლასში პედაგოგ დოდო შეყრილაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა ერთ-ერთი საინტერესო იყო მსმენელთათვის. მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის აქტივობის მიზნისა და ამოცანების გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა ლიკა ცერცვაძემ და ნიკოლოზ ყიფიანმა თავიანთ პრეზენტაციებში ისაუბრეს გელათისა და ნიკორწმინდის ხუროთმოძღვრებაზე, მათში არსებულ გეომეტრიულ ფიგურებზე, რომლებმაც განსაკუთრებული ხიბლი და სილამაზე შემატეს ტაძრებს. დაახასიათეს და ახსენეს ის გეომეტრიული ფიგურები, რომლებიც მათ ფრესკებსა თუ შენობების გარე ფასადებზე დაინახეს. საინტერესოდ მიანიშნეს, რომ მათემატიკა გვხვდება ჩვენი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე, რომ მისი შესწავლა და შემდეგ პრაქტიკული გამოყენება ჩვენი ცხოვრების აუცილებელ ნაწილად უნდა იქცეს.

* * *

პროექტის ფარგლებში გაიმართა აქტივობები: რუსულ ენაში IX და VII კლასების ბაზაზე, თემაზე: „იუნესკოს საერთაშორისო მემკვიდრეობის ობიექტები საქართველოში, რომელიც მოამზადა და განხორციელდა პედაგოგ დარეჯან ჭანტურიძის მიერ, ასევე „UNESCO IN GEORGIA“—ინგლისურის მასწავლებლის, თამარ ბარბაქაძის მიერ VIII კლასში. ეს იყო ემოციებით დატვირთული ლამაზი აქტივობა. მოსწავლეებმა: მარიამ ქარქაშაძემ, ნინი გავაშელაშვილმა, თამუნა სარდანაძემ, ნინო ბოჭორიშვილმა და დაჩი ქარქაშაძემ მსმენელთა წინაშე გააცოცხლეს ისეთი კულტურის ძეგლები, როგორიცაა ქართული ანბანის სამივე სახეობა, ქვევრი და მასში დაყენებული ღვინო, ქართული მრავალხმიანობა, ანანურის, ალავერდის, სამთავისის, გრემისა და ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრები, კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე, მათ პრეზენტაციები წარმოადგინეს Power point-ში ინგლისურ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში იქვე თარგმნიდნენ ქართულ ენაზე.

„იავნანამ რა ჰქმნა?“

პროექტის ფარგლებში კიდევ ერთი აქტივობა განხორციელდა IV კლასში. ეს იყო ინსცენირება იაკობ გოგებაშვილის მოთხრობისა „იავნანამ რა ჰქმნა?“ პედაგოგ ეთერ ენუქიძის ხელმძღვანელობით მომზადებული ინსცენირებით პატარა მსახიობებმა სათანადო კოსტუმებით და მეტყველებით მაყურებლებამდე მიიტანეს ის ემოცია და ხიბლი, რომელიც იაკობ გოგებაშვილის ამ უკვდავ ნაწარმოებს ლეიტმოტივად გასდევს. მეოთხეკლასელებმა ამით სკოლას და აღნიშნულ პროექტს ერთი ლამაზი აქტივობა აჩუქეს.

შემდეგი გაჩერება მეღვინეობა „ხარება“

ამ სახელწოდებით ჩატარდა პროექტის ფარგლებში გასვლითი აქტივობა მეღვინეობა „ხარებაში“. ორგანიზატორი აქტივობისა იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, პედაგოგები: მარინე ქარქაშაძე, ლია სახელაშვილი და ეთერ ტურავა.

VIII-XI კლასების დელეგაცია მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის ნიკოლოზ მდინარაძის მეთაურობით „ხარებას“ ეწვია.

მოსწავლეებმა ინტერესით დაათვალიერეს მარანი, სადაც ხდება ყურძნის მიღება და დამუშავება. ჩამოსასხმელი საამქრო, სამუშაო ზონა, ლაბორატორია, კასრების განყოფილება, სადაც ხდება ღვინოების დაძველება, მზა პროდუქციის საწყობი, სარდაფი, სადაც ხდება ცქრიალა ღვინოების ჩამოსხმა და დაძველება. ნახეს ღვინის ჩამოსხმის, მათი შეფუთვისა და ეტიკეტების დაკვრის პროცესები.

მიუხედავად იმისა „ხარებას“ არ აქვს ხანგრძლივი ისტორია, დიდი მოწონებით სარგებლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე, რაც მაღალი სტანდარტით, ღვინის წარმოების ტექნოლოგიით და ბუნებრივია, სპეციალისტთა პროფესიონალიზმით არის განპირობებული.

მოსწავლეებს მეგზურობას ქარხნის დირექტორის ასისტენტი ნინი ხურციძე და მეღვინე ვანო ნიშნიანიძე უწევდნენ, რომლებმაც საოცარი სითბოთი და სტუმართმოყვარეობით უმასპინძლეს მათ. მოსწავლეებს შეხვდა და ესაუბრა აგრეთვე მთავარი მეღვინე და წარმოების დეპარტამენტის დირექტორი, საერთაშორისო გაყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი ვლადიმერ კუბლაშვილი.

მოსწავლეებისათვის მოულოდნელი სიახლე იყო იმის მოსმენაც, რომ „ხარებას“ თავის მეურნეობაში 300-მდე ვაზის ჯიშის ყურძენი მოჰყავს...

„ხარებამ“, მისმა სტუმართმოყვარეობამ და გულითადმა მასპინძლობამ მოსწავლეებს ძალიან საინტერესო და დაუვიწყარი დღე აჩუქა.

„ხალხში გაბნეული მარგალიტები“

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა და „ხალხური რეწვის კუთხე“, რომლის მიზანი წინაპართა ხელსაქმისა და ზეპირსიტყვიერების მოვლა, შენარჩუნება და მოსწავლეებისათვის მათზე ინფორმაციის მიწოდება იყო.

მოსწავლეებმა, პედაგოგ ქეთევან გავაშელაშვილთან ერთად, წარმოადგინეს ყველა პროცესი თუ როგორ იღებდნენ ძველად ძაფს მატყლისაგან, შემდეგ აჩვენეს მატყლის დაჩეჩვა, დართვა, დაგრეხვისა და ქსოვის პროცესი, ისაუბრეს იმ პროდუქციზე, რასაც ძაფისაგან, თუ მატყლისაგან ამზადებდნენ. შეაგროვეს ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, შელოცვები, რომელსაც „სამკურნალოდაც“ კი იყენებდნენ ჩვენი წინაპრები.

„იუნესკო და ქართული კულტურული მემკვიდრეობა“

ეს XI კლასელთა და მათი პედაგოგის ერთობლივი განხორციელებული აქტივობაა, რომელსაც გარკვეული შემაჯამებელი ფუნქციაც ეკისრებოდა. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ მდინარაძემ დამაჯერებლად ისაუბრა იუნესკოზე, მის როლზე და ფუნქციებზე, სესიებზე, ამა თუ იმ ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებზე. კლასის დამრიგებელმა და პროექტის ავტორმა, ქალბატონმა ეთერ ტურავამ, რომელიც ამ აქტივობაში ფასილიტატორის როლს ასრულებდა, დამსწრე საზოგადოებას შეახსენა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლებს, მიმოიხილა კანდიდატებიც. მოსწავლეები საუბრობდნენ ქართული ანბანის სამივე სახეობის ცოცხალ კულტურაზე, ქართულ პოლიფონიაზე, ქართულ ვაზზე და მის ჯიშებზე, ქვევრში დაყენებულ ქართულ ღვინოზე, ქართულ ჭიდაობაზე, ასევე ისაუბრეს ამ სტატუსის მქონე მატერიალურ ძეგლებზე: გელათისა და მცხეთის სამონასტრო კომპლექსზე, ვარძიაზე, უფლისციხეზე და ხერთვისის ციხეზე. მიმოიხილეს შიო მღვიმე და დავით გარეჯი...

ჩვენი რაიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე კი პედაგოგებმა ნუგზარ კობერიძემ და გონერი მოსელიძემ ისაუბრეს.

აქტივობა დასრულდა „დედა ენის ჰიმნით“, რომელსაც უემოციოდ ვერავინ მოისმენდა...

ამით ღვანკითის საჯარო სკოლაში პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ დასრულდა. დასრულდა შემაჯამებელი აქტივობაც, რომელმაც მთელი დღის განმავლობაში უამრავი ემოცია დაიტია. მისი შინაარსობრივი, შემეცნებითი, სანახაობრივი და გასართობი ღირებულებებით.

სკოლაში არ დარჩენილა კათედრა, კლასი, მოსწავლე თუ პედაგოგი თავისი წვლილი არ შეეტანოს პროექტის განხორციელებაში, რომელმაც უდაოა თითოეულ მათგანს გარკვეული ცოდნა შესძინა ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომლითაც თითოეულმა უნდა ვიამაყოთ... „პროექტმა დაგვავალდებულა ყველა, აღნიშნა, დასასრულს პროექტის ხელმძღვანელმა, უფროსიც და უმცროსიც, რომ ჩვენს უდიდეს საგანძურს დაცვა, მოვლა და გაფრთხილება სჭირდება“. მან მადლობა გადაუხადა სკოლის ყველა პედაგოგს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, ყველა კლასს, მშობლებს, ტექნიკურ პერსონალს, თემს და რა თქმა უნდა პროექტის მართვის ჯგუფს პროექტში შეტანილი წვლილისათვის.

პროექტის შემაჯამებელი აქტივობა და ამ კუთხით სკოლაში გაწეულ მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ტარიელ კუბლაშვილმა, მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ელისო ჩიქოვანმა, ექსპერტმა და პროექტის კოორდინატორმა იმერეთის რეგიონში სოფო გაგოშიძემ და სხვებმა. პროექტი გრძელდება...

მზია ცქიფურიშვილი

პროექტი „სიტყვა საქმიანი“ დასრულდა...

თერჯოლის მერიას მალე ახალი ვებ-გვერდი ექნება

მუნიციპალიტეტის მერიისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანი თერჯოლის მუნიციპალიტეტში ელსერვისებზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ცოდნის მიწოდების ხელშეწყობა და ადვოკატირებაა, დასრულდა. შედეგი ისაა, რომ თერჯოლის მერიას მალე ახალი ვებგვერდი ექნება. ამ ინფორმაციის მიწოდებას და ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა მიერ, თავიანთი აზრის გამოხატვისა და შეფასების მიზნით, მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში გაიმართა დიალოგი მრგვალ მაგიდასთან, რომელსაც პროექტის ავტორი, ორგანიზაცია ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი „ბავშვები საქართველოს მომავალის“ ხელმძღვანელი ქალბატონი რუსუდან კოვზირიძე უძღვებოდა.

პროექტის მომზადება მუნიციპალიტეტისათვის ვებგვერდის აუცილებლობამ განაპირობა და როგორც თავის შესავალ სიტყვაში რუსუდანმა აღნიშნა—ამასთან დაკავშირებით საქმიანი შეხვედრა შედგა მუნიციპალიტეტის მერთან ბატონ ლაშა გოგიაშვილთან, PR მენეჯერთან, ქალბატონ მარიამ ქველიძესთან... საქმიან შეხვედრაზე განხილული იქნა პროექტის მიზნის მისაღწევად შესასრულებელი აქტივობები, რეალურად არსებული და მოსალოდნელი პრობლემები, შემუშავდა დროში გათვლილი გეგმა, დაისახა გზები და საშუალებები პროექტის წარმატებულად განსახორციელებლად.

პროექტი ხორციელდება თერჯოლის მერიისა და ფონდ „სოხუმის“ დაფინანსებით, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფილია ევროკავშირის (EU) მიერ დამტკიცებული პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის ფარგლებში“.

პროექტის „სიტყვა საქმიანის ფარგლებში, ბატონ ლაშა გოგიაშვილთან შედგა აგრეთვე მერიის ვებგვერდის დიზაინის განხილვა, გამოიკვეთა ძირითადი მიზანი, რომ ვებგვერდი იყოს მარტივი, ადვილად მისაწვდომი რიგითი მოქალაქისათვის როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო საშუალება... იყო შეხვედრები აგრეთვე ევროკავშირის პროექტის ფარგლებში პროექტის ასისტენტს ნინო ჭაბუკიანსა და კომპანიის წარმომადგენლებთან ავთანდილ ქარქაშაძესთან, სადაც განიხილეს ვებგვერდის დიზაინი და ინფორმაციის განთავსების საკითხები, აქვე ხელი მოეწერა ვებგვერდის დამზადების შესახებ ხელშეკრულებას...

პროექტის ფარგლებში, როგორც ქალბატონმა რუსუდანმა აღნიშნა, შეხვედრა გაიმართა თვითმმართველობის ძირეული რგოლის სოფლებში მერის წარმომადგენლებთან, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საჯარო მმართველობითი რეფორმა, ელსერვისები და ვებგვერდები, როგორც მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულების და ჩართულობის თანამედროვე საშუალება“.

ტრენინგი აღნიშნულ თემაზე ჩატარდა აგრეთვე ახალბედა მოხალისეებთან (ტრენერი რუსუდან კოვზირიძე), ხოლო „სატესტო რეჟიმში ვებგვერდის ფუნქციები“ მოხალისეებს მერიის პიარ მენეჯერმა მარიამ ქველიძემ გააცნო. ტრენინგის შემდეგ გაიმართა დისკუსია, ტრენინგის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი წინადადებები ვებგვერდთან დაკავშირებით და მზად არიან თანამშრომლობისათვის...

პროექტი „საჯარო მმართველობითი რეფორმის დანერგვა“ არის გრძელვადიანი, ცხადია ელსისტემა და ვებგვერდი არ არის ერთჯერადი აქტივობა და მისი აქტიური მუშაობა შედის ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესთა სფეროში, რასაც ადასტურებს მერიის ვებგვერდის შექმნაში თვითმმართველობის თანადაფინანსებით შესვლა.

ამასთან მერია იღებს ვებგვერდის ადმინისტრატორით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას, ვებგვერდი იმუშავებს ინტენსიურად შეუწყვეტლივ, რისი ხარჯებიც აისახება ადგილობრივ ბიუჯეტში.

გადამზადებული სოფლად მერიის წარმომადგენლები და მოხალისე ახალგაზრდების ჯგუფი მაქსიმალურად გააგრძელებენ მუშაობას მოქალაქეთა გათვითცნობიერების, ჩართულობის და გააქტიურების მიზნით.

თერჯოლის მოსახლეობის 75% ინტერნეტმომხმარებელია, რაც ნიშნავს, რომ მათ ექნებათ ვებგვერდზე წვდომა, ჩართულობა, შეეძლებათ თვალი ადევნონ თვითმმართველობის მუშაობას, აწარმოონ მონიტორინგი და გაუწიონ ადვოკატირება მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას.

მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ ლაშა გოგიაშვილის აზრით, მოქალაქეებთან კომუნიკაცია, ურთიერთთანამშრომლობა აუცილებელია. საჯარო, გამჭირვალე და საკუთარი მოქალაქეების საჭიროებათა ზრუნვაზე ორიენტირებული მმართველობითი რგოლი არის სახელმწიფოს სიძლიერე, ხოლო კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულება საფუძველია ურთიერთთანამშრომლობის, ნდობის, აღნიშნული ვებგვერდი არა მარტო მოემსახურება თერჯოლის საზოგადოებას, არამედ გაზრდის მუნიციპალიტეტის ცნობადობას, ხელს შეუწყობს ინფორმაციის მოპოვებას ჩვენს მუნიციპალიტეტზე ყველა მიმართულებით...

რუსუდან კოვზირიძემ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს გააცნო აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირის „ბავშვები, საქართველოს მომავალი“-ს მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მოკლე ანგარიში, რომელიც ითვალისწინებს სამ ძირითად ელემენტს. ესაა: 1. გამჭვირვალობა. 2. ეფექტიანობა. 3. ინკლუზიურობა.

პროექტის „სიტყვა საქმიანის“ და მასთან დაკავშირებული აქტივობების, აგრეთვე ვებგვერდის თაობაზე ისაუბრეს დარეჯან მემანიშვილმა (პედაგოგი), ხათუნა ნიკოლაძე, (საკრებულოს აპარატის უფროსი), აგრეთვე საჯარო მოხელეებმა: ნინო დოლაკიძემ, ქეთევან მაკარიძემ, ლეილა სირბილაძემ, ეკა შეყრილაძემ, თეა რიჟამაძემ (პედაგოგი), ანა კორტმა (სტუდენტი), ანა რობაქიძემ (ჟურნალისტი), დიანა სოფრომაძემ (სტუდენტი), მაკა ბუცხრიკიძემ (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი), ფიქრია დემეტრაშვილმა (ა(ა)იპ ალაო), მარიკა სირბილაძემ (აღმზრდელის თანაშემწე), ლელა ამირანაშვილმა (ა(ა)იპ „ქალები საქართველოს მომავლისათვის“), ნათია ხაჩიძემ (მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის იურისტი). თითოეულმა დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტის ვებგვერდის არსებობის შესაძლებლობა და მზაობა იყვნენ აქტიური მომხმარებელი, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ მოქალაქეთა ინფორმირებულობაში...

პროექტის პრეზენტაცია ანუ ვებგვერდის ამოქმედება ბატონ ლაშა გოგიაშვილის განცხადებით ფართო საზოგადოებისათვის, პანდემიის რეგულაციების დაცვით კულტურის სახლის დიდ დარბაზში გაიმართება, რათა მეტმა ადამიანმა მიიღოს ინფორმაცია...

მზია ცქიფურიშვილი

„თერჯოლამედი“ და მე

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულზე, ოჯახის უახლოესი გარემოცვა შევიკრიბეთ. ბიძა გამოვიდა ეწრიდან, ოთხმოცი წლისა. ითამადა სადილზე, გამოფხიზლდა ვახშმობისას, ითამადა გვიან ღამემდე და დილით, ას გრამ ორნახადს ქლიავი რომ მიაყოლა, მითხრა — ჟუჟუნა ბიძია, რატომ უნდა მტკიოდეს ახლა მე მუხლებიო. გამიკვირდა, გამეცინა და ჩამრჩა მეხსიერებაში.

***

რაღა მიკლია ოთხმოცს, მაგრამ ჯანმრთელად ვარ. ესაა, მეზობელს და ბიძაშვილს ვატყუებ ხანდახან, მანქანა რომ მჭირდება—არა ვარ კარგად, წნევა მაქვს — თქვა. რას მოთქვამ, შენი ასაკის ხალხს პამიატნიკი სამჯერ აქვს გადაკრასკული, მე წუხელი 180 მქონდაო.

აგიხდათ ყოველი კარგი. მართლა ამიწია წნევამ.

***

ოთხი წლის განმავლობაში კლინიკა „იმერმედსა“ და ექიმებზე მრავალჯერ დაწერილა ჩვენს გაზეთში. წერილები ეყრდნობოდა ოფიციალურ ინფორმაციას, პაციენტების ნაამბობს, სტატისტიკას, ყოველწლიურ ანგარიშს, მაგრამ პირადად არ გამოგვიცდია ექიმების მიერ პაციენტთა დამოკიდებულება.

„მე გიორგი ვარ, თქვენი კარდიოლოგი“

„იმერმედის“ ექიმმა გიორგი ბრეგაძემ გულდასმით მომისმინა, კითხვები დამისვა, კარდიოგრამასა და ეხოზე დაყრდნობით წამლები დამინიშნა. ყოველ ოთხ-ხუთ დღეში ტელეფონით უნდა მეცნობებინა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ძალიან მალე ტრავმა მივიღე გულმკერდის არეში. წნევა გადამავიწყდა. გიორგი ექიმმა თვითონ დამირეკა — „მე გიორგი ვარ თქვენი კარდიოლოგი“-ო მითხრა და ჯანმრთელობა იკითხა.

სწორედ მაშინ ვიფიქრე მკითხველისთვის მეთქვა — ვინ არის გიორგი ბრეგაძე.

***

მესამე შემთხვევამ წნევას და ტრავმას დავიწყების ჩრდილი გადააფარა. ანტირაბიული ვაქცინა დამჭირდა. ექიმმა როსტომ შველიძემ ჩამაბარა აცრების გრაფიკი და „დამევალა“ გოჭებსა და კატაზე მეთვალყურეობა. ბატონი როსტომი ბევრს მესაუბრა, დარიგებები მომცა, რა იცოდა რომ „ცოფის“ საკითხში გარკვეული ვარ. გამიკეთებია ვაქცინა არა ერთხელ და ორჯერ. ერთ ამბავს გავიხსენებ — გამგეობის სხდომაზე, რომელიც ივლან ზარნაძეს მიჰყავდა, ანტონ ქველიძემ, რომელიც იმ დროს ფინგანის გამგედ მუშაობდა, დააყენა საკითხი ანტირაბიული ვაქცინის თანხის გადარიცხვის თაობაზე. ბატონმა ივლანმა ჰკითხა — სასწრაფოაო? დიახ, ერთი სოფლიდან 12 კაცი იკეთებს, მ.შ. ცხადაძე, მაგას კიდევ ცოფი უნდაო?

სამაგიეროდ, რადიოლოგ თენგიზ ხურციძეს ბევრი კითხვა არ დაუსვამს. უახლესი აპარატურა გამოიყენა და რაც დაინახა ის მითხრა — ყველაფერი კარგად გაქვთ, ცოტა ტკივილი შეიძლება გაგყვეს მუცლის არეშიო. სხვა კაბინეტში კი ეკრანზე დავინახე ჩემი ფილტვები, კორონაზე ტესტიც ჩავიტარე და დამშვიდებული წამოვედი.

***

პატარ-პატარა ამბები, რომელიც ჩავურთე ექიმების სამადლობელს, იმიტომ გავიხსენე, რომ მივანიშნო მომავალ თაობას, პატივი სცენ სიბერეს, რომელიც ჩვენი მომავალია, იცოდნენ, რომ 80 წლის ასაკშიც სიცოცხლე მშვენიერია და ოლღა ბებიასი არ იყოს — კაცი ვერ „ძღება“ სიცოცხლით.

***

სამმა შემთხვევამ — საშუალება მომცა აღარ დამჭირდეს დავეყრდნო ოფიციალურ ინფორმაციას, თვითმხილველების ნაამბობს, კლინიკის გარეგნულ იერსახეს, მის მრავალნაირ პროფილს და აღიარებას...

***

უმეტეს შემთხვევაში საინტერესო ადამიანებზე მკითხველს ვაწოდებთ მონაცემებს, მის განვლილ ცხოვრებაზე, შვილებზე, ოჯახზე, როგორი იყვნენ თანამდებობაზე მუშაობისას და სხვა. ამჯერად მხოლოდ ერთი კუთხით წარმოვაჩენთ იმერმედის რამდენიმე ექიმს — ესაა ყურადღებიანობა და კვალიფიკაცია.

***

„იმერმედზე“ წერის დროს მე არასოდეს მიხმარია სიტყვები — საიმედო ხელში ხართ. თუ თქვენ მოხვდებით ექიმების: გიორგი ბრეგაძის, თენგიზ ხურციძის, როსტომ შველიძის მკურნალობის ქვეშ, გეტყვით, რომ თქვენ საიმედო ხელში ხართ.

ექიმების შესაფასებლად ეს სიტყვები, ალბათ, ყველაზე მეტად გამოდგება.

***

იმ დღეებში, როცა კლინიკა „იმერმედში“ დავდიოდი კვლევისა თუ კონსულტაციისათვის კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კაბინეტი გაიხსნა, ვაქცინაცია სინოვაკისა და ფაიზერის ვაქცინით მიმდინარეობს.

***

კლინიკაზე ხანდახან უსიამოვნო ხმებიც გვესმის. იქ, სადაც ოთხ წელიწადში მკურნალობის კურსი 18000-მდე პაციენტმა ჩაიტარა, ამბულატორიული 49000-მა, 3000-ზე მეტმა კოვიდ პაციენტმა, ერთეული უკმაყოფილება იქნება. ჭირისუფალი მგრძნობიარეა, ვერ ვამტყუნებ.

***

ანტირაბიული ვაქცინა რომ გავიკეთე, ისედაც ჯავრიანს, ერთმა ნაცნობმა მითხრა — ან გაგიკეთეს ან არაო. საქმეში ჩაუხედავს ხომ გაუძლიერდება შიში, ხომ ჩაესახება უნდობლობა ექიმებისა და ზოგადად კლინიკისადმი.

ეს ის შემთხვევაა, როცა ყოველთვის ყველაფერი არ უნდა დაიჯერო.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლის

ვახტანგ ქოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ტოკიოს ოლიმპიადის ექო

ივლის-აგვისტოში სპორტის მოყვარულებს განსაკუთრებული დღეები გვქონდა... ჯერ იყო და დიდი ფეხბურთით მივიღეთ ტკბობა, შემდეგ კი ტოკიოში, შარშან—2020 წელს ჩასატარებელი გადავადებული ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გამართვით.

მართალია, კორონავირუსის გამო თამაშები ერთი წლით გადაიდო, ეს ოლიმპიადა ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე წყნარი და უხმაურო თამაშები, რადგან ასპარეზობებს სპორტულ არენებზე მაყურებელი არ ჰყავდა!!!

ტოკიოს თამაშებზე საქართველო სპორტის 11 სახეობაში 35 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, თუმცა 2 შეჯიბრებამდე მოიხსნა. ჩვენმა სპორტულმა დელეგაციამ მედლები სპორტის 3 სახეობაში მოიპოვა: ძიუდო, ძალოსნობა და ჭიდაობა.

ტოკიოდან 8 ჯილდო წამოვიღეთ - 2 ოქრო, 5 ვერცხლი, 1 - ბრინჯაო, რაც დამოუკიდებელი ქართული ოლიმპიზმის ისტორიაში პირველად მოხდა. მედლების ამ რაოდენობით კი საქართველომ ოლიმპიადის მონაწილე 205 ქვეყანას შორის გუნდური 33-ე ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა ბევრი ჩვენზე ტერიტორიულადაც და მოსახლეობითაც დიდი ქვეყნები, რომელთაც ეკონომიკაც საკმაოდ ძლიერი აქვთ.

ძიუდოისტთა რეკორდი...

ამ 8 მედლიდან ზუსტად ნახევარი - 4 ჯილდო ძიუდოს ვაჟთა ნაკრებზე მოდის: 1 ოქრო (ლაშა ბექაური - 90) და 3 ვერცხლი (ვაჟა მარგველაშვილი - 66, ლაშა შავდათუაშვილი - 73, გურამ თუშიშვილი - +100). მთლიანად გუნდისა არ იყოს, ამდენი მედალი ძიუდოისტებისთვისაც სარეკორდოა - ადრე ჩვენი მაქსიმუმი 2 ჯილდო იყო. არადა, ჩვენებმა 3 ფინალი წააგეს და 3 ათლეტი მეხუთე ადგილზე გავიდა ანუ წააგო ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა.

ბუნებრივია, ყველა მათგანის წაგება გულდასაწყვეტია, მაგრამ ერთს მაინც გამოვარჩევთ - ქალთა ტურნირში ეთერ ლიპარტელიანის (57) მარცხი, თორემ ისიც ისტორიულ შედეგს აჩვენებდა. თუმცა ნახევარფინალში ჭიდაობაც და მეხუთეზე გასვლაც ისტორიულია ჩვენი ქალთა ძიუდოსთვის.
იმედი დავიტოვოთ, რომ ლიპარტელიანი მომავალ ოლიმპიადაზე ჩემპიონობის რეალური კანდიდატი იქნება, არათუ რიგითი მედლისა...

ჩემპიონი კონკურენტის გარეშე!

ძალოსნობამ წინა თამაშებზეც ორი მედალი ირგუნა—ზუსტად ამავე სინჯის, ოღონდ ახლა სხვადასხვა წონაში მოიპოვა—ლაშა ტალახაძე (+109) ჩემპიონი გახდა, ანტონ პლესნოი კი 96-ში ბრინჯაოს დაეუფლა.

ჩვენი გოლიათის ახლანდელი გამოსვლა გაცილებით უფრო შთამბეჭდავი და ეპოქალური გარხდა ტალახაძის ფენომენალური ასპარეზობისა და სუპერტრიუმფის გამო—კაცმა ორივე მოძრაობაც და ორჭიდიც მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდებით მოიგო, ორჭიდში კი 45 კილოგრამით გაუსწრო (!) ვიცე-ჩემპიონს, ხოლო 64-ით (!) მესამე პრიზიორს.

ამასთან, 3 კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე რეკორდი, ზოგადად, სპორტში ასეა—ათლეტი ებრძვის მეტოქეს, მაგრამ საჩხერელ ძალოსანს მეტოქე აღარ დარჩა და საკუთარ რეკორდებს ებრძვის! აბა, 45 კილოგრამით რომ კაცს გაუსწრებ, მით უფრო, 64-ით ის რაღა მეტოქეა!

ხალხი თითო მოძრაობაში გარკვეული წონის დაფიქსირებით რომ ამთავრებდა გამოსვლას, ეს იმაზე მეტით იწყებდა ასპარეზობას და რეკორდებს უტევდა...

ჭიდაობიდან მეტს ველოდით

ჭიდაობამ 2 ვერცხლი დაისაკუთრა, თითო დისციპლინაში თითო, ზუსტად ერთნაირი ხარისხისა და თან ორივე მძიმე წონაში. თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი გახდა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იაკობ ქაჯაია. მოჭიდავეებისათვის ეს ყველაზე უარესი შედეგია 2004 წლის ათენის თამაშების შემდეგ: იქ ჭიდაობას 1 ვერცხლი ჰქონდა, პეკინში—4 (2 ოქრო, თითო ვერცხლი და ბრინჯაო), ლონდონში—5 (2 ვერცხლი, 3 ბრინჯაო. იქ დამატებით მესამე ვერცხლიც გვქონდა, თუმცა ის მოგვიანებით ჩამოგვართვეს ლოდინის გამო), რიო დე ჟანეიროში კი 3 (1 ოქრო, 2 ვერცხლი).

მოჭიდავეებმა სალიცენზიო ტურნირებიც კი ცუდად ჩაატარეს—14 შესაძლებლობიდან ორივე სახეობაში) მხოლოდ 7 საგზური მოიპოვეს, ერთ-ერთი წარუმატებლობა იყო ისიც, რომ ულიცენზიოდ და ოლიმპიადის მიღმა დარჩა ყველაზე ტიტულოვანი მოქმედი მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65), ვინც დაასრულა კიდეც კარიერა და პოლიტიკაში წავიდა...

ამის მიუხედავად, ტოკიოში უკეთესი შედეგისა მაინც გვეიმედებოდა—ხარისხობრივადაც და რაოდენობრივადაც. ჭიდაობაში ძალიან ბევრი რამაა შესაცვლელი და გამოსასწორებელი, პარიზის თამაშებამდე კი მხოლოდ 3 სეზონია დარჩენილი.

დასანანი მარცხები...

სხვა სახეობიდან მედალს ყველაზე მეტად ფარიკაობა, კრივი და ჩოგბურთი მიუახლოვდა, ფარიკაობა კი, მსაჯების ფაქტორი რომ არა, მედალოსან სახეობათა გეოგრაფიას ნამდვილად გააფართოვებდა. ვგულისხმობთ სანდრო ბაზაძის ნახევარფინალურ პაექრობას უნგრელთა აწ უკვე სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ აარონ ჟილაგისთან, სადაც არბიტრებმა საეჭვო ქულა არ ჩაუთვალეს ქართველ მუშკეტერს.

ტოკიოში ნანახიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოტა მეტი იღბალისა და გამართლების შემთხვევაში არაა გამორიცხული, სროლაში და კარატეშიც (თუმცა ეს სახეობა არ იქნება პარიზში) ავიდეთ კვარცხლბეგზე. აი, ცურვაში, მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში კი ამ თამაშებზე დამაიმედებელი ვერაფერი დავინახეთ, არადა, ყველაზე მეტი მედალი სწორედ ცურვასა და მძლეოსნობაში თამაშდება და მედლების საერთო ჩათვლაში ბოლო ორ დღეში აშშ-მ ჩინეთს სწორედ მძლეოსნობის ხარჯზე გადაუსწრო.

ასე, რომ მძლეოსნობა და ცურვა სამომავლოდ ამ სახეობების განვითარებისთვის განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებენ...



მადლობა—გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ!!!

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872